

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

### „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება განპირობა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტის მომზადებამ.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია, „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტთან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წამოღგენილი კანონპროექტის თანახმად, კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტს ემატება „ქ11“ პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს სასამართლო-ფსიქიატრიული საექსპერტიზო საქმიანობის ლიცენზიისათვის სალიცენზიო მოსაკრებლის განაკვეთს 200 ლარის ოდენობით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას ახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, ვინაიდან კანონპროექტით დგინდება სალიცენზიო მოსაკრებლის განაკვეთი სასამართლო-ფსიქიატრიული საექსპერტიზო საქმიანობის ლიცენზიისთვის - 200 ლარის ოდენობით. ამასთან, ამ ეტაპზე კანონპროექტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე გავლენის ზუსტი ოდენობის განსაზღვრა შეუძლებელია, ვინაიდან იგი დამოკიდებულია გაცემული ლიცენზიების რაოდენობაზე და შესაბამისად, ბიუჯეტში ასახულ შემოსავლებზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:  
კანონპროექტის მიღებით სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ დაეკისრება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:  
ფინანსურ შედეგებს არ გამოიწვევს

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):  
კანონპროექტის თანახმად, სასამართლო-ფსიქიატრიული საექსპერტიზო ლიცენზიის გაცემისათვის დადგენილია მოსაკრებლის განაკვეთი 200 ლარის ოდენობით.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:  
არ არის წინააღმდეგობაში ევროკავშირის დირექტივებთან მიმართებაში.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:  
კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:  
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:  
აღნიშნული პროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:  
არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორია პარლამენტის წევრი გიორგი გოდაბრელიძე.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორია პარლამენტის წევრი გიორგი გოდაბრელიძე.